ბრძანება:№28. 28233424
თარიღი:08/12/2023

საახალწლო კონკურსის ,,საახალწლო სივრცე ჩემს ქალაქში“ გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ” ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე გამოცხადდეს საახალწლო კონკურსი ,,საახალწლო სივრცე ჩემს ქალაქში“ ;

მუხლი 2. კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, შეიქმნას სპეციალისტთა მოწვეული ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა)ქეთევან შეყრილაძე (თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი) - ჯგუფის ხელმძღვანელი ;

ბ)მამუკა ცერცვაძე (რეჟისორი) - ჯგუფის წევრი;

გ) თამარ ღარიბაშვილი (ა(ა) იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის სამხატვრო სკოლის დირექტორი) - ჯგუფის წევრი;

დ) ხათუნა გურული (პედაგოგი) -ჯგუფის წევრი;

ე)ერეკლე კირკიტაძე (სტუდენტი) -ჯგუფის წევრი;

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება წარმოადგინონ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრირებული ვებგვერდის https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdL2hC0CQJY31vkMAILk3h2Hp7Q-5UroRNNZ-qZg2dqNLb2Eg/viewform?usp=sf_link მეშვეობით;

მუხლი 4. კონკურსში მონაწილე მოქალაქეებიდან/ორგანიზაციებიდან, რომელთაც საახალწლო სივრცე ორიგინალური და შემოქმედებითი შტრიხებით ექნებათ მორთული, სამ გამარჯვებულს გამოავლენს სპეცილისტთა ჯგუფი.

მუხლი 5. გამარჯვებულთა ვინაობა ცნობილი გახდება 2024 წლის 14 იანვარს;

მუხლი 6.კონკურსში თითოეულ გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1000 ლარის ოდენობით;

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტის განცხადების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით;

მუხლი 8. ბრძანება ჩაბარდეს ბრძანების მე-2 მუხლში მითითებულ პირებს;

მუხლი 9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი